ქვეპროგრამის დასახელება: პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

რა არის ქვეპროგრამის არსი?

პროგრამა ითვალისწინებს პერსონალური ასისტენტის საშუალებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

- 18 წელს მიღწეული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, მიმწოდებლისთვის მიმართვის მომენტისთვის რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში.
- უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე, განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი და აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

პერსონალური ასისტენტის სერვისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, აგრეთვე განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას;

როგორ უნდა მიიღოს პირმა მომსახურება ?

მომსახურების მაძიებელი პირი/მხარდამჭერი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს მიმწოდებელს.

რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს პირმა ?

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში ჩართვის განაცხადი;
- ასისტირების საჭიროების მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის არსებობის შემთხვევაში:

  ა) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი და განსაზღვრავს მის უფლებამოსილებას.

  ბ) წარმომადგენლის/მხარდამჭერის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

კომენტარი: ქვეპროგრამის მოსარგებლედ ვერ ჩაერთვებიან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც უკვე ჩართულები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადმინისტრირებად

„შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრაში, სხვა მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებად „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში“ ან სამინისტროს მიერ ადმინისტრირებად „შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამაში და სხვა მსგავს პროგრამაში.

მიმწოდებელი ორგანიზაცია	მისამართი	ტელეფონი
ა(ა)იპ "ხელი ხელს"	თბილისი, ლ. რჩეულიშვილის ქუჩა II შეს. N11	598 980 171
ა(ა)იპ „თბილისის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი“	თბილისი სპირიდონ კედიას ქუჩა №7	550 007 313
ა(ა)იპ „საქართველოს უსინათლოთა კავშირი“	თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა №90	577 619 661
ა(ა)იპ “ასოციაცია ანიკა“	თბილისი, ც. დადიანის ქუჩა N 136	598 453 594
ა(ა)იპ სტუდია „ეიდისი“	თბილისი, საირმის ქუჩა 5	595 037 045
ა(ა)იპ „დამოუკიდებელი ცხოვრების შშმ ქალთა ცენტრი“	თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ცოტნე დადიანის 105	511 303 097
შპს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერის სერვისი“	თბილისი სპირიდონ კედიას ქუჩა №7	599 349 944
ბიბლიოთეკა კულტურული ცენტრი უნარშეზღუდულთათვის „თანადგომა“	თბილისი, დ. უზნაძის ქ. 68	551 258 095
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტი	თბილისი, ნაძალადევის რაიონი, გიორგი ჭყონდიდელის 1 ჩიხი, N4, ბინა N311	598 910 896

შემფასებელი ორგანიზაცია	მისამართი	
სს „მედკაპიტალი“	ქ. თბილისი, ი. ვეკუას ქუჩა N18; ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქუჩა N19; ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N138	
სს „ევექსი“	ქ. თბილისი, ვაჟა - ფშაველას N40; ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. N64	